ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა
გეოგრაფია
II ტური
2023-2024 წწ.

➢ *კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-5*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) **1. რა ქვია სუპერვულკანს, რომელიც დასავლეთ ნახევარსფეროში მდებარეობს და ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილურია მასში არსებული მაგმის უზარმაზარი აუზის გამო?**



ა) მაუნა-ლოა;

ბ) აკიტა-კომაგატაკე;

გ) იელოუსტოუნი;

დ) ერაივაიეკიუდლი.

(1) **2. რომელი ქალაქი შევიდა უფრო ადრე იუნესკოს (UNESCO) მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში?**

ა) კიტო;

ბ) ფლორენცია;

გ) იერუსალიმი;

დ) მარაკეში.

(1) 3. ექსტრემალური ტურიზმის რომელი სახეობაა ასახული ფოტოზე?



ა) ჯომარდობა;

ბ) ზიპლაინი;

გ) დაივინგი;

დ) პარაგლაიდინგი.

(1) 4. რომელ ქვეყანაშია გადაღებული მოცემული ფოტოები?

ა) ნიდერლანდებში;

ბ) შვეიცარიაში;

გ) ბელგიაში;

დ) ლუქსემბურგში.

(1) 5. რას ასახავს 2023 წლის აპრილის მდგომარეობის მიხედვით შედგენილი რუკა?



ა) ქვეყნების დამოკიდებულებას რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართ;
ბ) ქვეყნების დამოკიდებულებას ნატოს გაფართოების პოლიტიკის მიმართ;
გ) ქვეყნების დამოკიდებულებას აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მიმართ;
დ) ქვეყნების დამოკიდებულება ევროპის კავშირის გაფართოების პოლიტიკის მიმართ.

➢ *შესაბამისობის დადგენა - დავალება № 6-8*

ინსტრუქცია
დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(7) 6. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი <u>*არ*</u> მეორდება):

	I ჩამონათვალი		II ჩამონათვალი
ა	მარაკაიბოს ტბა	1	ყველა კუნძული ეკუთვნის პორტუგალიას
ბ	ფარავნის ტბა	2	ყინულქვეშა ტბა ანტარქტიდაზე
გ	კ. მადეირა და აზორის კ-ბი	3	ყველა კუნძული ეკუთვნის კანარის არქიპელაგს
დ	ტბა ვოსტოკი	4	ლაგუნური წარმოშობის ტბაა
ე	კ. გომერა, კ. იერო, კ. ლანსაროტე	5	ვულკანურ-ტექტონიკური წარმოშობის ტბაა
ვ	რიწის ტბა	6	კარსტული წარმოშობის ტბაა
ზ	რანჩო ლა-ბრეას ტბა	7	ბიტუმის ტბა, რომელშიც იქმნება ბუნებრივი ასფალტი
		8	კლდეზვავური წარმოშობის ტბაა

(6) 7. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი <u>არ</u> მეორდება):

	პლაჟის ფოტო		ქალაქი / სახელმწიფო
ა	კოპაკაბანა	1	ნიცა
ბ	ლაჟვარდოვანი სანაპირო 	2	რიო-დე-ჟანეირო
გ	ვერცხლის სანაპირო	3	ვარნა

დ	ბონდის სანაპირო	4	კუბა
ე	ოქროს ქვიშები	5	პორტუგალია
ვ	ბენაჟილი	6	ბიარიცი
		7	სიდნეი

(6) 8. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი <u>არ</u> მეორდება):

	მოგზაური/მკვლევარი		გამორჩეული მიღწევები
ა		1	ედმუნდ ჰილარისთან ერთად პირველმა დალაშქრა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა.
ბ		2	პირველმა მიაღწია სამხრეთ პოლუსს.
გ		3	დონ უელშთან ერთად ბატისკაფ „ტრიესტით“ პირველმა მიაღწია მარიანას ღრმულის ფსკერს.

დ		4	პირველმა დადგა ფეხი მთვარეზე.
ე		5	იმოგზაურა 234 ქვეყანასა და დამოკიდებულ ტერიტორიაზე.
ვ		6	პირველმა დალაშქრა პლანეტის ყველა (14) რვაათასიანი მწვერვალი და შვიდივე კონტინენტის უმაღლესი მწვერვალი, იმყოფებოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე.
		7	პირველმა მიაღწია ჩრდილოეთ პოლუსს.

➢ *ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 9-12*

ინსტრუქცია
გააანალიზეთ დავალებაში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(3) 9. **რომელი ოკეანის გავლენით ყალიბდება ჰავა სამხრეთ ამერიკის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე? დაასახელეთ ამის განმაპირობებელი მთავარი გეოგრაფიული ფაქტორი და ახსენით თქვენი პასუხი.**



(3) 10. რუკაზე მოცემულია ე.წ. ნემოს წერტილი/ მიუწვდომლობის ოკეანური პოლუსი, რომელიც გამოითვალეს 1992 წელს.



(1) **10.1.** განსაზღვრეთ ნემოს წერტილის გეოგრაფიული კოორდინატები.

(1) **10.2.** ახსენით, რის გამო იქნა გამორჩეული ეს წერტილი მსოფლიო ოკეანეში?

(1) **10.3.** რომელი მეთოდით იქნა გამოთვლილი ნემოს წერტილის გეოგრაფიული კოორდინატები?

ა) რადიოიზოტოპური;

ბ) კომპიუტერული მოდელირების;

გ) ინტერპოლაციის;

დ) სტატისტიკური ანალიზის.

(2) 11. თევზსაჭერმა სეინერმა 69°52' ჩ.გ. და 10°03' ა.გ. კოორდინატებზე დაიჭირა 10 ტონა ატლანტიკური ორაგული. პროდუქციის რეალიზაციისთვის გაემართა 38°42' ჩ.გ. და 9°08' დ.გ. კოორდინატში მდებარე პორტში.

(1) 11.1. რომელ ზღვაში აწარმოებდა თევზჭერას სეინერი?

(1) 11.2. რომელ პორტში მოახდინა მან თევზის რეალიზაცია?

(8) 12. გააანალიზეთ ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტი და უპასუხეთ კითხვებს:



(1) **12.1.** მოცემული რელიეფის პროფილებიდან, რომელი შეესაბამება რუკაზე აღნიშნულ A და B წერტილებს შორის მონაკვეთს?

ა) I

ბ) II

გ) III

დ) IV



(1) **12.2.** მდინარის რომელ ნაპირზე მდებარეობს მეტყევის სახლი?

(1) **12.3.** გამოთვალეთ რამდენ მეტრს უდრის მანძილი ცალკე მდგომ ხესა და მეტყევის სახლს შორის, თუ რუკაზე შესაბამისი მონაკვეთის სიგრძე 3.5 სანტიმეტრია (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი).

(1) **12.4.** ჰორიზონტის მხარეების მიხედვით განსაზღვრეთ, რა მიმართულებით მდებარეობს მე-3 ნაკვეთიდან ფართოფოთლოვანი ტყე?

(1) **12.5.** ახსენით, რატომ არის ტოპოგრაფიულ რუკაზე ნაჩვენები მდინარის ორივე სანაპირო მასობრივი ტურისტულ-რეკრეაციული პლაჟის მოსაწყობად გამოუსადეგარი / სახიფათო?

(3) **12.6.** სკოლის სამთო-სათხილამურო წრის მოსწავლეები არჩევენ ზამთარში სლალომისთვის ხელსაყრელ სავარჯიშო ადგილს. განსაზღვრეთ, რუკაზე ციფრებით აღნიშნული რომელი ნაკვეთი (1, 2 თუ 3), უფრო მეტად აკმაყოფილებს სპორტსმენთა მოთხოვნებს. მოიყვანეთ ორი არგუმენტი თქვენი არჩევანის დასაბუთებისთვის.